

მოსახლეობის ცოდნისა და დამოკიდებულების შესწავლა ადამიანის
პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინასთან მიმართებაში

ნეა უგრეხელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და
მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2023

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნეა უგრეხელიძე/_____/_15_/06_/2023

აბსტრაქტი

ადამიანის პაპილომავირუსი (აპვ) არის გავრცელებული სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის სხვადასხვა გართულებები, მათ შორის, საშვილოსნოს ყელის კიბო და გენიტალური მექეჩები. ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ეფექტურობა დადასტურებულია ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებით. თუმცა, მიუხედავად აპვ ვაქცინის ხელმისაწვდომობისა, ვაქცინის მიღების მაჩვენებლები მაინც არაოპტიმალურია მსოფლიოს მრავალ პოპულაციაში, მათ შორის საქართველოშიც.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინასთან მიმართებაში მოსახლეობის ცოდნისა და დამოკიდებულებებისა და მათზე მოქმედი ფაქტორების წარმოჩენა. კვლევა იყენებს შერეული მეთოდების მიდგომას, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ და თვისებრივ ასპექტებს, რამაც შესაძლებელი გახადა საკვლევი საკითხის სიღრმისეული შესწავლა.

რაოდენობრივი მეთოდის ფარგლებში შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის შედეგებით შეფასდა მონაწილეთა ცოდნა აპვ-ს შესახებ, ვაქცინის შესახებ ინფორმირებულობა და ვაქცინაციისადმი დამოკიდებულება.

თვისებრივი მეთოდის ფარგლებში გაანალიზდა სამეცნიერო ლიტერატურა პერსპექტივებისა და გამოცდილების უფრო სიღრმისეული გააზრების მიზნით.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ცოდნის იმ ხარვეზებისა და დამოკიდებულებების უკეთ გააზრებას, რომლებიც გავლენას ახდენენ აპვ ვაქცინის მიღებაზე პოპულაციაში.

ჯამში, მოსახლეობის ცოდნისა და პოზიტიური დამოკიდებულების გაზრდამ აპვ ვაქცინის მიმართ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს აპვ-სთან დაკავშირებული დაავადებების შემცირებაზე და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შედეგების გაუმჯობესებაზე, ამ კუთხით კი წარმოდგენილ ნაშრომსაც თავისი წვლილი შეაქვს საქართველოში მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის პაპილომავირუსი, ვაქცინა, ინფექცია.

Abstract

Human PapillomaVirus (HPV) is a common sexually transmitted infection that can cause a variety of infections, including cervical cancer and genital warts. The effectiveness of human papilloma virus vaccination has been confirmed by studies of international health organizations. However, despite the availability of the HPV vaccine, vaccine rates are still suboptimal in many populations around the world, including Georgia.

The purpose of this master's thesis is to present the knowledge and attitudes of the place of residence and the factors affecting them in relation to the vaccine. The use of a mixed methods approach, which combines quantitative and qualitative factors, made possible an in-depth study of the research.

The results of the structured questions developed within the framework of the quantitative method were evaluated the knowledge of the participants about HPV, the awareness about the vaccine and the attitude towards vaccination.

Analyzing within the framework of the material method and the scientific literature a structure for a deeper understanding of perspectives and experiences. The implications of the results are greater awareness of the knowledge gaps and attitudes they have about vaccine uptake in the population.

Overall, increasing knowledge and positive attitudes can make a significant difference when interacting with an HPV.

Keywords: Human Papillomavirus, vaccine, infection.